

ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის
N117 ოთახზე, მოქალაქე მზია გიორგაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარებავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N117 ოთახში მცხოვრები მოქალაქე მზია გიორგაძის წარმომადგენლის ნინო ცერცვაძის განცხადება /2013 წლის 17.04 Nგ-4739/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N117 ოთახი/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე მზია გიორგაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N117 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მზია გიორგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N117 ოთახზე /საერთო ფართობი 17,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 17,40 კვ.მ./ მოქალაქე მზია გიორგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი